სადოქტორო პროგრამის დასახელება: ქართული ლიტერატურა / Georgian Literature

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფილოლოგიის დოქტორი / PhD in Philology
სწავლების ძირითადი დარგი/სპეციალობა: ქართული ლიტერატურა

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: თსუ სრული პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

სადოქტორო პროგრამა არის სუბდისციპლინარული - მოიცავს ერთი დისციპლინის - ქართული ლიტერატურის ფარგლებში შემავალ დიდ პრობლემურ სფეროებს - ძველი ქართული ლიტერატურის, ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებს.

ქართული ლიტერატურის ძალზე ხანგრძლივი და ძალზე მდიდარი პერიოდის - ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კვლევა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ყველაზე მეტად ტრადიციული, ხოლო საერთაშორისო ფილოლოგიის დონეზე ყველაზე მეტად პოპულარულია. ამის გამო გასული ათწლეულების მანძილზე ძველი ქართული ლიტერატურის მიმართულებით მრავალი ახალგაზრდა ფილოლოგი ამზადებდა თავის საკვალიფიკაციო ნაშრომს.

პროგრამა მოიცავს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის სხვადასხვა სფეროს პროგრამებს: ძველი ქართული მწერლობის ძეგლების მეცნიერულ კვლევას, ცალკეული ჟანრების და ლიტერატურული სკოლების ახალი კუთხით და ასპექტით შესწავლას, ქართული ლიტერატურის ცალკეული ნიმუშების შუასაუკუნეების ევროპულ და აღმოსავლურ მწერლობასთან ტიპოლოგიური მიმართებების გამოვლენას და სხვ.; ახალი ქართული ლიტერატურის სხვადასხვა სფეროს პრობლემებს: XIX საუკუნის ქართველ მწერალთა მდიდარი მემკვიდრეობის კვლევას, ცალკეული ლიტერატურული მიმართულებისა და ლიტერატურული ჟანრის ახალი კუთხით და ასპექტით შესწავლას. XIX საუკუნის ქართული ლიტერატურულ_თეორიული პრობლემების სიღრმისეულ კვლევას და ა.შ.; უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის სხვადასხვა სფეროს პრობლემებს: თანამედროვე ქართული მწერლობის ნიმუშების მეცნიერულ კვლევას, ცალკეული ჟანრების და ლიტერატურული სკოლების ახალი კუთხით და ასპექტით შესწავლას და სხვ.

ა) პროგრამის მიზანი: სადოქტორო პროგრამის მიზანია, მოამზადოს დოქტორანტები საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებით და ბოლონიის პროცესის მოთხოვნების თანახმად. დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში დოქტორანტმა უნდა შეძლოს როგორც ლოკალურ, ისე საერთაშორისო კონფერენციებზე მონაწილეობის მიღება სამეცნიერო მოთხოვნების შესაბამისად.

ბ) პროგრამის შედეგი: სადოქტორო პროგრამის წარმატებით დასრულების საფუძველზე მოხდება დოქტორანტის ინტელექტუალური ზრდა და მისი კომპეტენციის სფეროში შემავალი აკადემიური და კვლევითი პროგრამების დაახლოება, მისი, როგორც დარგის სპეციალისტის, ხარისხის ამაღლება და ინტეგრირება სამეცნიერო საზოგადოებაში. დოქტორანტი შექმნის მაღალი მეცნიერული ღირებულების თეორიულ ნაშრომს ქართული ლიტერატურის ისტორიის და ლიტერატურული კრიტიკის მიმართულებით, რომლითაც თანამედროვე ფილოლოგიური მეცნიერების საერთაშორისო სტანდარტების დონეზე ახლებურ ნიუანსს შეიტანს მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის კვლევისა და განვითარების საქმეში. წარმატებული დოქტორანტის სახით ქართველოლოგიური სამეცნიერო წრეები მიიღებს ქართული ლიტერატურის ისტორიის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს, რომელიც პერსპექტიული კადრი იქნება ქართული ფილოლოგიური მეცნიერების მიმართულებით.

გ) კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები: დოქტორანტი, რომელიც წარმატებით

დაასრულებს ამ პროგრამას, ჩამოყალიბდება ახალგაზრდა მეცნიერ-ქართველოლოგად და უმაღლესი სკოლის პედაგოგად, რომელსაც საშუალება ექნება ქართული ლიტერატურის ისტორიის და თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესის კვლევის მიმართულებით იმუშაოს:

- ყველა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და სამეცნიერო პროექტში
- ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შესაბამისი ტიპის ადგილობრივ სამხარეო და ადგილობრივ დეპარტამენტებში
- საქართველოს რესპუბლიკისა და საზღვარგარეთის ყველა ქართველოლოგიურ საგანმანათლებლო თუ კვლევით ცენტრში
- საქართველოს და საზღვარგარეთის სამეცნიერო ბიბლიოთეკებში
- სასულიერო აკადემიებსა და სემინარიებში
- საგამომცემლო და პერიოდული პრესის რედაქციებში
- მასმედიის ყველა მიმართულებით, ექსპერტად და კონსულტანტად
- სამთავრობო და კერძო სტრუქტურების მეცნიერ-ექსპერტად.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- მაგისტრის ხარისხი, ან მასთან გათაბრებული ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომი ნებისმიერ ჰუმანიტარულ მეცნიერებებში;
- რომელიმე ევროპული ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) B-2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

სასწავლო კომპონენტი

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს ზოგადი და სპეციალური დის-ციპლინების სწავლებას. დოქტორანტი პერიოდულად ჩააბარებს ანგარიშს კოლოკვიუმის სახით, მიიღებს გამოცდილებას დისკუსიაში მონაწილეობისათვის, გამოავლენს დამოუკიდებელი კვლევის უნარს.

დოქტორანტურისთვის განკუთვნილი 180 კრედიტიდან 60 ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 120 სადისერტაციო ნაშრომს.

სავალდებულო სასწავლო კომპონენტებია (სულ 25 კრედიტი):

- სწავლების თანამედროვე მეთოდები - 5 კრედიტი
- დოქტორანტის I კოლოკვიუმი - 5 კრედიტი
- დოქტორანტის II კოლოკვიუმი - 5 კრედიტი
- პროფესორის ასისტენტობა - 5 კრედიტი
- მეცნიერების მენეჯმენტი - 5 კრედიტი

არჩევითი სასწავლო კომპონენტები:

- საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები - 5-30 კრედიტი
- პრაქტიკა - 5-10 კრედიტი
- საქართველოს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსი/კურსები - 5-15 კრედიტი
- კვლევის მეთოდები - 5 კრედიტი
- აკადემიური წერა- 5 კრედიტი
- ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიები კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა - 10 კრედიტი
- სხვა სახის აქტივობა - 5-10 კრედიტი

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს აქვს სათანადო ტექნიკურ-მატერიალური ბაზა. Dდოქტორანტს შეუძლია ისარგებლოს: რუსთაველის კაბინეტით, გალაკტიონის კაბინეტით, თსუ ფოლკლორული არქივით, ფაკულტეტის ბიბლიოთეკით, თსუ ინტერნეტული მომსახურების ცენტრით, ცალკეულ შემთხვევაში «ქართველოლოგიური სკოლის ცენტრის» მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

დოქტორანტთა რაოდენობა:
დოქტორანტურაში ჩარიცხულთა რაოდენობა შეზღუდული არ არის. საჭიროების შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელ-კოორდინატორი პროგრამაში მოიწვევს დამატებით ხელმძღვანელს.

პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალი:

- ლადო მინაშვილი, თსუ ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საკონტაქტო ინფორმაცია: დოლიძის ქ. 25_ე კორპ. 64 ბინა, ტელ. 33_55_57 (ბინა).
- იუზა ევგენიძე, თსუ ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საკონტაქტო ინფორმაცია: ბაგები, II კორპ. 57_ე ბინა, ტელ. 23-56-71 (ბინა).
- რუსუდან ნიშნიანიძე, თსუ ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი, საკონტაქტო ინფორმაცია: ბეღლეთის ქ. №15. ტელ.: 32 75 94, 893 300204. email: rusudan.nishnianidze@tsu.ge
- თამარ პაიჭაძე, ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი, საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ. 899184603 (მობ.).email: tamar.paichadze@tsu.ge
- კახა ლორია, სრული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი, საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ. 899240701 (მობ.), email: kakhaber_loria@yahoo.com
- ლაურა გრიგოლაშვილი, მოწვეული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საკონტაქტო ინფორმაცია: საბურთალოს ქუჩა # 67, ტელ. 39-70-76 (ბინა).